COVID-19

განმეორებითი კვლევა: ქართული კომპანიები COVID-19-ის პანდემიის წინაშე

pwc

კვლევა ჩატარდა ინვესტორთა საბჭოს და EBRD-ის მხარდაჭერით

შესავალი

რა ზეგავლენას ახდენს COVID-19 ვირუსის გავრცელება საქართველოში ზოგადად ბიზნესზე და რა საშუალებებით უმკლავდება მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები კრიზისულ გამოწვევებს. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, დღის წესრიგში დადგა ბიზნესის მიმდინარე პრობლემების და მოლოდინების გასაზღვრა და იმ კონკრეტული საკითხების გამოვლენა, რომელთა მხარდაჭერის საჭიროება დაუდგება ბიზნესს.

პირველი კვლევა ჩატარდა ამა წლის 16-27 აპრილის შუალედში ონლაინ გამოკითხვის მეთოდით. ინფორმაცია კვლევის შესახებ, სხვადასხვა არხის გამოყენებით, დაეგზავნა საქართველოში რეგისტრირებულ მიკრო, მცირე და დიდი ზომის კომპანიებს. ჯამში 1,938 კომპანიის მიერ სრულად შევსებული კითხვარი წარმოადგენდა პირველი პრეზენტაციაში წარდგენილი ინფორმაციის საფუძველს, რაც მიზნად ისახავდა ბიზნესის პანდემიასთან დაკავშირებული **„პირველადი“** რეაქციის ასახვას. კვლევის შედეგები გადაეცა პრემიერ მინისტრის კაბინეტს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ინვესტორთა საბჭოს. კვლევის შედეგები მთავრობას საშუალებას აძლევს ჯეროვნად შეაფასოს ზეგავლენის მასშტაბი, რომლებსაც კომპანიები აწყდებიან პანდემიის დროს და გამოწვევები, რომლის წინაშეც ისინი დადგებიან პანდემიის შემდეგ.

მიმდინარე კვლევა ჩატარდა ამა წლის 11 სექტემბერსა და 2 ოქტომბრის შუალედში და მასში მონაწილეობა სულ 774 კომპანიამ მიიღო (582 სრულად და 192 ნაწილობრივად შევსებული კითხვარი). მიმდინარე კვლევა ჩატარდა პირველ კვლევის იდენტური მეთოდოლოგიის გამოყენებით; თუმცა, ანალიზის სფეროს გაფართოების თვალსაზრისით, დასმული იყო უფრო მეტი კითხვა. წინა კვლევასთან შედარებით, ამ კვლევის მიზანია მოიცვას ბიზნესების **„შემდგომი“** რეაქცია პანდემიასთან დაკავშირებით. კვლევა პასუხობს შემდეგ შეკითხვებს: COVID-19-თან დაკავშირებული მიმდინარე სირთულეები ვირუსთან გასამკლავებლად გადადგმული ნაბიჯები, მიმდინარე ფინანსური ლიკვიდობის პრობლემები, ბიზნესების პროგნოზები პანდემიის სამომავლო შედეგებზე, სამთავრობო ინიციატივებით სარგებლობა და მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული პრობლემები. ონლაინ კვლევასთან ერთად, დამატებით ჩატარდა ათი ჩაღრმავებული ინტერვიუ პროექტის მიმდინარეობისას გამოვლენილი საკითხების უკეთესად გასაანალიზებლად.

აღნიშნული კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია რეალური სურათის წარმოდგენის კუთხით და ვიმედოვნებთ, რომ ის ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკას მხარდასაჭერი ინიციატივების დაგეგმვის პროცესში.

შევსებული კითხვარი

საწარმოების ზომა



შენიშვნა:
პასუხების რაოდენობა განსხვავდება კითხვების მიხედვით. კვლევა ნაწილობრივ დაასრულა 774-მა კომპანიამ, აქედან 582-მა სრულად შეავსო კითხვარი. გამოკითხულთა 19%-მა დატოვა კვლევა #12 კითხვის შემდეგ. ანგარიშში გამოყენებული ტერმინები: კომპანიები, საწარმოები, ბიზნესები და რესპონდენტები გამოყენებულია ერთმანეთის მონაცვლეობით და ეხება იმ კომპანიებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში.

1

კვლევის ძირითადი ფაქტები და მიგნებები

ძირითადი მიგნებები - ონლაინ კვლევა

მოთხოვნის შემცირება არის COVID-19-ით გამოწვეული ყველაზე გამოკვეთილი გვერდითი მოვლენა ყველა სექტორისთვის. მოთხოვნის შემცირებამ გამოკითხული კომპანიების 68%-ში უკვე გამოიწვია 50%-ზე მეტით შემოსავლის შემცირება 2020 წლის მაისის შემდგომ. ეს ციფრი მცირედით შეიცვალა აპრილის კვლევის 65% მაჩვენებელთან შედარებით. საზღვრების ჩაკეტვამ რესპონდენტებს შორის ყველაზე მეტად დააზარალა სასტუმროები და კვების ობიექტები, რომელთა 84%-ს მნიშვნელოვნად შეუმცირდა შემოსავლები. აპრილის კვლევასთან შედარებით პოზიტიურია რესპონდენტების მოლოდინები და თუ წინა კვლევის დროს კომპანიების ნახევარი მომავალი სამი თვის განმავლობაში პროგნოზირებდა შემოსავლების 50%-ზე მეტით ვარდნას (წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით), ამ ეტაპზე აღნიშნული მოლოდინი კომპანიების მხოლოდ მეხუთედს აქვს. აპრილთან შედარებით, გამოკითხულთა თითქმის თანაბარი ოდენობა (დაახლოებით 66%) სასტუმრო და კვების სექტორში მაინც მოელის შემოსავლების 50%-ზე მეტ შემცირებას.

კვლევის მიმდინარეობისას თვალსაჩინო გახდა სხვა გამოწვევებიც. COVID-19-თან დაკავშირებული სირთულეების თვალსაზრისით, გამოიკვეთა შემდეგი ტიპის საკითხები: 1) ჩაკეტილ საზღვრებთან დაკავშირებული პრობლემა გამწვავდა ყველა კომპანიისთვის, განსაკუთრებით თვითდასაქმებული რესპონდენტებისთვის (საკითხი პრობლემურია გამოკითხულთა 39%-ისთვის, აპრილის 28%-თან შედარებით); 2) თვითდასაქმებული და მიკრო საწარმოების დაგვიანებული გადახდები კლიენტებისგან (მიაღწია 22% და 33%-ს, აპრილის 15% და 24%-თან შედარებით); 3) ვალუტის გაცვლით კურსთან დაკავშირებული სირთულეები ძირითადად მიკრო და მცირე ზომის კომპანიებზე აისახება (გაიზარდა 49% და 56%-მდე, აპრილის 39% და 49%-თან შედარებით).

მიწოდების ჯაჭვის შეფერხებები თითქოს ნაკლებად პრობლემური გახდა ყველა კომპანიისთვის, რადგან გამოკითხულმა კომპანიებმა დაიწყეს ახალ რეალობასთან მორგება. რესპონდენტების მიერ დაფიქსირებულ პასუხებს შორის შემცირდა კომპანიების ოდენობა, რომელმაც მიწოდების ჯაჭვის სირთულეები დაასახელა, როგორც COVID-19-ის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 33%-დან 13%-მდე. თუმცა, როდესაც კომპანიებს დაუსვეს შეკითხვა თუ ამჟამად რამდენად განიცდიან მიწოდებასთან დაკავშირებულ შეფერხებებს, გამოკითხულთა თითქმის 80%-ის პასუხი დადებითია. ტრანსპორტირების გაზრდილი ფასი დასახელებულია მიწოდების ჯაჭვის შეფერხების მთავარ პრობლემად, რასაც მოჰყვება ქვეყნებს შორის ტრანსპორტირების შემცირება და მომწოდებლების ან მომხმარებლების მიერ საქმიანობის შეწყვეტა.

კომპანიების მიერ 2020 წლის მაისის შემდეგ განხორციელებულმა ცვლილებებმა შეამცირა ზეწოლა ლიკვიდობაზე. რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებსაც უკვე დაუდგათ ლიკვიდობის პრობლემა, სექტემბრის ბოლოს შემცირდა აპრილის 28%-დან 10%-მდე. კომპანიებს შორის, ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილები დიდი ზომის კომპანიები არიან, გამოკითხულთა დაახლოებით 70% არ ელოდება ლიკვიდობასთან დაკავშირებულ რაიმე სახის პრობლემას მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში. აპრილის კვლევაში, ბიზნეს საქმიანობის შეჩერება ყველაზე ფართოდ გავრცელებული იყო იმ დამცავ ღონისძიებებს შორის, რომლებიც გამოყენებული იყო თვითდამსაქმებელი, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მიერ. გამოკითხული მცირე, საშუალო და მსხვილ კომპანიების დიდი ნაწილი აცხადებდნენ, რომ მათი თანამშრომლების დისტანციურად მუშაობდნენ. მიმდინარე გამოკითხვისას, ყველა გამოკითხული კომპანია, გარდა დიდი ზომის კომპანიებისა, იძულებული გახდა შეეზღუდა წარმოების მოცულობა. ამ ეტაპზე უმეტესად მხოლოდ მსხვილი კომპანიების თანამშრომლებმა შეძლეს სახლიდან მუშაობის გაგრძელება.

გამოკითხულმა კომპანიებმა გამოიყენეს სხვადასხვა სახის დამცავი ზომები მათი ლიკვიდობის პრობლემების გადასაჭრელად. გამოკითხულთა დაახლოებით 16%-მა გადასახადების გადავადების მიზნით მიმართა საგადასახადო ორგანოებს. კომპანიების დაახლოებით 75%-მა შეძლო ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ გადავადება. ძირითადად საშუალო და დიდი ზომის კომპანიები მიმართავენ ფინანსურ ინსტიტუტებს სესხის რესტრუქტურიზაციისა და დამატებითი დაფინანსების მოზიდვის მიზნით. და ბოლოს, რესპონდენტთა თითქმის ნახევარმა გამოიყენა მთავრობის მიერ შეთავაზებული ხელფასების სუბსიდირება და ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების ინიციატივები.

აპრილის კვლევასთან შედარებით, გაუმჯობესდა თანამშრომლების შემცირების ტენდენცია. მიმდინარე გამოკითხვის დროს, უფრო მეტმა რესპონდენტმა დააფიქსირა, რომ ისინი ან არ გეგმავენ თანამშრომლების შემცირებას, ან გეგმავენ ნაკლები რაოდენობის შემცირებებს. გამოკითხული კომპანიების 75%-მა, რომლებმაც საკარანტინო პერიოდში ჰქონდათ შეჩერებული საქმიანობა, კარანტინის დასრულების შემდეგ შეძლეს საქმიანობის განახლება. დახურული საზღვრები კვლავ მთავარ შეზღუდვად რჩება კომპანიების იმ 51%-ისთვის, რომელმაც საქმიანობის განახლება ვერ შეძლო.

ძირითადი მიგნებები - ჩაღრმავებული ინტერვიუები (1/2)

ყველა გამოკითხული დიდი ზომის კომპანია განიცდიდა მოთხოვნის / შემოსავლის შემცირებას შემდეგი ხუთი ძირითადი მიზეზის გამო:
1. კარანტინი - კომპანიებს, რომლის ბიზნესი მომხმარებელთან პირდაპირ გაყიდვებზე არის დამოკიდებული მნიშვნელოვანად შეუმცირდა შემოსავალი კარანტინის პერიოდში ბიზნესის დახურვის გამო,
2. ჩაკეტილი საზღვრები და ტურისტების შემცირებული რაოდენობა - უპირატესად შეეხო სასტუმროებს, რესტორნებსა და კაფეებს (HORECA) და მათ მომწოდებლებს (საკვების და სასმელის მწარმოებლები და მომწოდებლები) და სამშენებლო სექტორს (შემცირებულია უცხოელებზე საცხოვრებელი ფართების გაყიდვები და საცალო ვაჭრობა, ახალი სასტუმროების მშენებლობის რაოდენობა). მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ტურიზმი ნაწილობრივ ჩაანაცვლა ეროვნულმა ტურიზმმა, ადგილობრივი ტურისტების მიერ გაწეული ხარჯის მოცულობა მნიშვნელოვნად ნაკლებია უცხოელ სტუმრებთან შედარებით (რესპონდენტის თქმით საშუალოდ 50%-ით ნაკლებია);
3. მისაღები შემოსავლის დროული ამოღება - ძირითადად პრობლემატური იყო HORECA–ს სექტორში, აგრეთვე მცირე საცალო სავაჭრო ობიექტებიდან;
4. ცვლილება მოხმარების ქცევაში - ადგილობრივი მომხმარებლები გადავიდნენ შედარებით უფრო იაფი პროდუქტების შესყიდვაზე და გაიზარდა ხარჯები ძირითად საჭიროებებზე (მაგ. საკვებისთვის და ნაკლები თანხები ფუფუნების საგნებზე ან გრძელვადიან ინვესტიციებზე);
5. დაძაბულობა საექსპორტო ბაზრებზე - პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია უცხო ქვეყნების ზოგიერთ სექტორზე. შესაბამისად ბევრმა უცხოელმა მომხმარებელმა შეამცირა ან გააუქმა შეკვეთები, ხოლო სხვები თავიანთ ქვეყნებში გაცვლითი კურსის რყევების გამო ფასის შემცირებას ითხოვეს. გარკვეულმა საექსპორტო პროდუქტებმა, რომლებიც შუამავალ აგენტებს ეყრდნობა, მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადეს. ეს ძირითადად განპირობებული იყო გაცვლითი კურსის რყევებით და არაპროგნოზირებულობით.

რესპონდენტების საპასუხო ქმედებები: ზოგიერთმა კომპანიამ მეტი სტაბილურობის გამო აქცენტი მთავრობის შეკვეთებზე გადაიტანა (მაგალითად, მშენებლობა ან HORECA–ს სექტორი), ასევე ძირითადად თბილისის ბაზარზე დაკონცენტრირდნენ. ბიზნესის უმეტესობა, სადაც ეს შესაძლებელი იყო, იძულებული გახდა გადასულიყო ონლაინ გაყიდვებზე. შემოსავლების შემცირების კომპენსირების მიზნით, გამოკითხული კომპანიების უმეტესობამ მოიზიდა დამატებითი ფინანსური რესურსი ან განახორციელა სესხების რესტრუქტურიზაცია.

გამოკითხული კომპანიები სხვადასხვა სახის პრობლემებს აწყდებიან ოპერაციებში:
1. სიტუაციის არაპროგნოზირებულობის კომპანიებისთვის რთული გახადა ოპერაციების დაგეგმვა და ინვენტარის საჭიროებების პროგნოზირება;
2. მიუხედავადა იმისა, რომ გარკვეულ კომპანიებს საკარანტინო პერიოდში მიეცათ მუშაობის ნებართვა, მათ მომწოდებლებს ეს უფლება არ ჰქონდათ (მაგ. სამშენებლო მასალების მომწოდებლებს). შესაბამისად, მათ ვერ შეძლეს ოპერირების გაგრძელება მას შემდეგ, რაც მარაგები ამოიწურა.
3. კომპანიებს შეექმნათ ნედლეულის დროული მიწოდების სირთულე შესაბამის მომწოდებელ ქვეყანაში COVID-19-თან დაკავშირებული შეფერხებების გამო. ზოგიერთ შემთხვევაში, მათ მოუხდათ მცირე ზომის მომწოდებლების ჩანაცვლება, რომლებმაც COVID-19-ის გამო საქმიანობა შეწყვიტეს;
4. რადგანაც საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ მომწოდებლებთან ყველა ხელშეკრულება უცხოურ ვალუტაშია გაფორმებული (ძირითადად აშშ დოლარი და ევრო), სავალუტო კურსის ცვლილების გამო კომპანიებს გაეზარდათ ნედლეულთან დაკავშირებული ხარჯები;
5. გამოკითხულთა აზრით, სატრანსპორტო ხარჯები გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ ნავთობზე ფასი დაეცა. სატრანსპორტო გადაზიდვების რაოდენობა შემცირდა, რამაც გამოიწვია ტრანსპორტირების საფასურის ზრდა;
6. შიდა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემები იმ მოკლე ვადამ წარმოშვა, რომლის განმავლობაში კომპანიებს სჭირდებოდათ გამოსავლის პოვნა და ტრანსპორტირების ნებართვების მოპოვება. უმეტესად მათ ვინც ცხოვრობდნენ თბილისის გარეთ ვერ შეძლეს საკუთარი პერსონალის ტრანსპორტირება.
7. მუშაობის ნებართვის მოპოვების პროცესი რთული იყო, ვინაიდან საჭირო იყო ძალისხმევა პროცედურების გასაგებად და კომპანიებისთვის დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად. გარკვეულ შემთხვევებში ძნელი იყო ოფიციალური პასუხის მიღება სამუშაო ნებართვებთან დაკავშირებით. მთავრობის მხრიდან შეზღუდული იყო დრო იმისათვის, რომ სათანადოდ მომზადებულიყო ის პერსონალი, რომლებიც ადგილზე ამოწმებდნენ ნებართვების გაცემას. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ ამ მიზეზით, შეინიშნებოდა განსხვავებები იმ მიდგომებში, რომლებსაც იყენებდა ინსპექტირების პერსონალი. ამ განსხვავებების გამო, კომპანიებს გაუჭირდათ საერთო მითითებების დაცვა (მაგალითად, სხვადასხვა ინსპექტორის მიერ განსხვავებული სტანდარტების გამოყენება);

ინფორმაცია ჩაღრმავებული ინტერვიუების შესახებ:

ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა:
10

სექტორები:
ტურიზმი
სამშენებლო
წარმოება
სოფლის მეურნეობა
ჯანდაცვა
საცალო და საბითუმო ვაჭრობა
ნავთობი და გაზი

ტერიტორიული მოცვა:
საქართველო და საექსპორტო ბაზრები

კომპანიების ზომა:
დიდი ზომის კომპანიები

ძირითადი მიგნებები - ჩაღრმავებული ინტერვიუები (2/2)

8. სარემონტო სამუშაოების ან მანქანა-დანადგარებთან დაკავშირებული პრობლემების უცხო ქვეყნების სპეციალისტების მოზიდვის სირთულე;
9. გაზრდილი ხარჯები COVID-19 დაკავშირებული უსაფრთხოების ზომების გამო, რომლებიც ნაწილობრივ გადაიფარა სხვა ხარჯებით (მაგალითად, მგზავრობის ხარჯებით).

რესპონდენტების საპასუხო ქმედებები: მარაგების წინასწარი შეკვეთა, ახალი დაფინანსების მოზიდვა ან არსებული სესხების რესტრუქტურიზაცია, შეკვეთების ზომის გაზრდა ოპერირების პრობლემების შეზღუდვის მიზნით, უკონტაქტო მიწოდების პროცესის დადგენა, ხარჯების შემცირება - ეფექტურობის გაზრდა; ონლაინ კონსულტაციების ჩატარება მანქანა-დანადგარების მწარმოებლებთან, დამატებითი ხარჯების გაწევა COVID-19-ის სანიტარულ ზომებთან დაკავშირებით (თანხები მნიშვნელოვნად განსხვავდება, თუმცა ის კომპანიები, რომლებსაც ჰქონდათ საფრთხის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო პუნქტები (HACCP) ან სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სერთიფიკატი, უკეთესად იყვნენ მომზადებული ახალი სანიტარული ზომებისთვის), კომპანიების დაქირავება COVID-19-ის სანიტარული და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციების მოსაგვარებლად;

ზეწოლა დასაქმებაზე: თანამშრომლები, რომლების შემცირებაც კომპანიებს მოუწიათ და რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ, იყვნენ ნახევარ განაკვეთზე / საათობრივად დასაქმებულები, რომელთა უმეტესობა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელია; გამოკითხული დიდი ზომის კომპანიების უმეტესობამ შეძლო დასაქმებულების ძირითადი რაოდენობის შენარჩუნება. იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი შემდგომში არ გადავადდება, კომპანიებს გადასახადის გადახდა მოუწევთ შენარჩუნებული თანამშრომლებისთვისაც. ამრიგად, რესპონდენტები თვლიან, რომ ისინი დაისჯებიან პერსონალის მაქსიმალური რაოდენობის შენარჩუნების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამო; იმ შემთხვევაში, თუ საზღვრები არ გაიხსნება , ტურისტების ნაკადი არ იარსებებს და მოსახლეობის მსყიდველობითი ძალა არ აღდგება, კომპანიებს შესაძლოა მოუწიოთ მათი ამჟამინდელი თანამშრომლების შემცირების საერთო რაოდენობის გადაწყვეტილებების გადახედვა.

რესპონდენტების საპასუხო ქმედებები: გამოკითხული დიდი ზომის კომპანიების უმეტესობამ შეამცირა ხარჯები, რათა შეენარჩუნებინა სრულ განაკვეთზე დასაქმებული პერსონალის უმეტესობა. ეს გამოწვეული იყო იმ ხარჯების გამო, რაც მათ მომავალში უნდა გაიღონ პერსონალის დასაქმების მიზნით, აგრეთვე თანამშრომელთა ნდობის და პროფესიონალების შესანარჩუნებლად. ამ დრომდე, სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა გარკვეული შემცირება ხდებოდა ძირითადად კვალიფიკაციის / ხარისხის, აგრეთვე პერსონალის ბოლოდროინდელი მუშაობის საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ცვლების რაოდენობას. დამატებით, ზოგიერთ გამოკითხულ კომპანიას ისეთი თანამშრომლების დაქირავება მოუწია, რომლებიც სამუშაო ადგილთან ახლოს ცხოვრობენ, ტრანსპორტირების შემდგომი პრობლემების თავიდან ასაცილებლად. გამოკითხული დიდი ზომის კომპანიებისთვის, ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა იყო ფულადი სახსრების გადინების შემცირება ოპერაციების და თანამშრომლების შენარჩუნების მიზნით, აგრეთვე დამატებითი მარაგების შექმნა საჭიროების შემთხვევაში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იყო გადასახადების გადავადება (ქონების გადასახადი და ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი). ამასთან, რადგან სიტუაცია ჯერ კიდევ არ გამოსწორებულა, კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ გამოაცხადოს გადასახადების შემდგომი გადავადება. გარდა გადასახადების დაზოგვისა, კომპანიებს მოუწიათ არსებული სესხების რესტრუქტურიზაცია ან ახალი დაფინანსების მოზიდვა მოსალოდნელი შემდგომი გართულებების გამო. ზოგადად, დადებითი საკრედიტო ისტორიის გამო, დიდი ზომის კომპანიების უმეტესობას პრობლემები არ ჰქონია ფინანსურ ინსტიტუტებთან. კომპანიებისთვის დაფინანსების კუთხით ყველაზე დიდ სირთულეს ბანკებთან სამომავლო პროგნოზებზე შეთანხმება წარმოადგენდა. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მოსალოდნელია ჰქონდეს გამოკითხულ კომპანიებს მომავალში, დიდი ზომის მომწოდებლებისა და მყიდველების ნდობის ფაქტორს უკავშირდება აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში აღნიშნული განმარტებების გამო, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, მიუთითებს მათი სესხის რესტრუქტურიზაციისა და უიმედო სესხის ჩამოწერის საჭიროებაზე. გამოკითხული კომპანიების მიერ განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილებები მათ საშუალებას აძლევს შეამცირონ ლიკვიდობის პრობლემები და ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანიებმა დაგეგმილი ინვესტიციების განხორციელებაც განაგრძეს. მათ უმრავლესობას დამატებითი დახმარება აღარ დასჭირდება, თუ სიტუაცია ნორმალურ რეჟიმს დაუბრუნდება. თუმცა, თუ ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება და საზღვრები კვლავ დაიხურება, მათ მთავრობისგან, ლიკვიდობის მოსალოდნელი პრობლემების შესამცირებლად, დამატებითი დახმარება დასჭირდებათ. ყველაზე ხშირად მოთხოვნილ დახმარებას წარმოადგენს ქონების გადასახადის და პირადი საშემოსავლო გადასახადის შემდგომი გადავადება, აგრეთვე სახელფასო სუბსიდიების გაგრძელება.

2

პანდემიის ეფექტი ბიზნესზე

გამოკითხული კომპანიების 68%-მა COVID-19-თან დაკავშირებულ მთავარ გამოწვევად მოთხოვნის შემცირება დაასახელა, აპრილის კვლევის 65%-თან შედარებით

სექტემბერი 2020

რა სირთულეებს აწყდება დღეისათვის თქვენი კომპანია?

.	საზღვრების დახურვა	მოთხოვნის შემცირება	ლარის კურსის ცვლილება	შეფერხება მიწოდების ჯაჭვში	თანამშრომლების კარანტინი	თანამშრომლების დაუგეგმავი შვებულება	COVID-19-ის რეგულაციები	დაგვიანებული გადახდები კლიენტებისაგან
თვითდას.	39%	58%	29%	10%	2%	2%	0%	22%
მიკრო	37%	71%	49%	11%	5%	9%	4%	33%
მცირე	36%	64%	56%	19%	8%	11%	3%	41%
საშუალო	36%	57%	49%	12%	11%	12%	5%	37%
დიდი	33%	53%	47%	6%	8%	3%	0%	22%
ყველა	38%	68%	50%	13%	6%	9%	3%	35%

აპრილი 2020

რა სირთულეებს აწყდება დღეისათვის თქვენი კომპანია?

.	საზღვრების დახურვა	მოთხოვნის შემცირება	ლარის კურსის ცვლილება	შეფერხება მიწოდების ჯაჭვში	თანამშრომლების კარანტინი	თანამშრომლების დაუგეგმავი შვებულება	COVID-19-ის რეგულაციები	დაგვიანებული გადახდები კლიენტებისაგან
თვითდას.	28%	67%	29%	30%	5%	2%	3%	15%
მიკრო	29%	66%	39%	31%	16%	13%	5%	24%
მცირე	27%	65%	49%	38%	20%	16%	5%	33%
საშუალო	28%	72%	52%	41%	19%	21%	6%	43%
დიდი	23%	70%	50%	27%	9%	16%	2%	25%
ყველა	28%	65%	40%	33%	15%	12%	4%	26%

10%-მდე | 10%-20% | 20%-30% | 30%-40% | 40%-50% | 50%-60% | 60%-დან ზემოთ

როგორ წავიკითხოთ ცხრილი?

ე.წ. „heat map“ გვიჩვენებს, თუ რა პრობლემა იქნა დასახელებული მათთვის რელევანტურად სხვადასხვა ზომის კომპანიების მიერ. სვეტის „ყველა“ მაჩვენებელი მიუთითებს ყველა გამოკითხული კომპანიის რა პროცენტული წილი აღნიშნავს კონკრეტულ სირთულეს. მაგალითად, საზღვრების დახურვა სირთულეებს უქმნიდა თვითდასაქმებულთა 39%-ს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთზე მეტი პასუხი, რის გამოც პროცენტული მაჩვენებლების ჯამი 100%-ს არ უტოლდება.

- პასუხების ანალიზი აჩვენებს, რომ კომპანიებისთვის ყველაზე მთავარ პრობლემად კვლავ მოთხოვნის შემცირება რჩება, რომელსაც მოსდევს ლარის კურსის ცვლილებით გამოწვეული სირთულეები, საზღვრების დახურვა და დაგვიანებული გადახდები კლიენტებისაგან.
- გამოკითხული კომპანიების ნახევარი, გარდა თვითდასაქმებული კომპანიებისა, ასახელებს ლარის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებულ სირთულეს.
- ლარის კურსის ცვლილება ასევე მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნის რესპონდენტთა ნახევარზე მეტს მშენებლობის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის (ICT) და გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორებში.
- დაგვიანებული გადახდები კლიენტებისაგან შედარებით ნაკლები პრობლემაა თვითდასაქმებული და დიდი ზომის კომპანიებისთვის.
- სექტორული ანალიზის კუთხით, საზღვრების ჩაკეტვა სირთულეებს უქმნის ძირითადად გამოკითხულ სასტუმროებისა და კვების (68%) და ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ბიზნესებს (59%).
- შეფერხება მიწოდების ჯაჭვში სირთულედ მიიჩნიეს კომპანიებმა, რომლებიც საქმიანობენ საბითუმო და საცალო ვაჭრობის (21%) და გადამამუშავებელი მრეწველობის (24%) სექტორებში.
- საერთო ჯამში, აპრილის კვლევის შედეგებთან შედარებით, მიმდინარე გამოკითხვის უფრო მეტ რესპონდენტს ექმნება შემდეგი სახის სირთულეები: ლარის კურსის ცვლილება (50% აპრილის 40%-თან შედარებით), დაგვიანებული გადახდები კლიენტებისაგან (35%, აპრილის 26%-თან შედარებით) და საზღვრების ჩაკეტვა (38%, აპრილის 28%-თან შედარებით).

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები:

- მოთხოვნის შემცირება ასევე პრობლემურია ყველა გამოკითხული დიდი ზომის კომპანიისთვის.

გამოკითხულ დიდი ზომის კომპანიებს შორის დასაქმებულთა 61% განაგრძობს მუშაობას სახლიდან, რაც აპრილის კვლევის მსგავსი მაჩვენებელია

სექტემბერი 2020

რა სახის ზომები მიიღო კომპანიამ ამ დროისათვის წარმოქმნილი სირთულეების საპასუხოდ?

.	ბიზნეს საქმიანობის ცვლილება	თანამშრომლები მუშაობენ სახლიდან	დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება	დასაქმებულთა უხელფასო შვებულებაში გაშვება	წარმოების/ სერვისების მოცულობის შემცირება	დაიწყო ფინანსური პროდუქტების გამოყენება	ბიზნეს საქმიანობის ონლაინ რეჟიმში გადასვლა	წარმოების/ მომსახურების გაჩერება	შეკვეთების განთავსების შემცირება	ბიზნეს საქმიანობის შეჩერება
თვითდას.	4%	6%	7%	4%	22%	2%	10%	17%	14%	22%
მიკრო	5%	15%	19%	13%	29%	7%	13%	15%	17%	20%
მცირე	6%	24%	26%	15%	30%	13%	16%	12%	19%	12%
საშუალო	5%	25%	24%	24%	21%	23%	17%	8%	14%	11%
დიდი	0%	61%	22%	17%	14%	14%	14%	11%	17%	11%
ყველა	6%	22%	22%	15%	30%	11%	15%	15%	19%	19%

აპრილი 2020

რა სახის ზომები მიიღო კომპანიამ ამ დროისათვის წარმოქმნილი სირთულეების საპასუხოდ?

.	ბიზნეს საქმიანობის ცვლილება	თანამშრომლები მუშაობენ სახლიდან	დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება	დასაქმებულთა უხელფასო შვებულებაში გაშვება	წარმოების/ სერვისების მოცულობის შემცირება	დაიწყო ფინანსური პროდუქტების გამოყენება	ბიზნეს საქმიანობის ონლაინ რეჟიმში გადასვლა	წარმოების/ მომსახურების გაჩერება	შეკვეთების განთავსების შემცირება	ბიზნეს საქმიანობის შეჩერება
თვითდას.	3%	5%	3%	4%	13%	2%	6%	32%	14%	59%
მიკრო	3%	19%	10%	22%	16%	3%	12%	35%	15%	52%
მცირე	5%	33%	17%	28%	21%	5%	14%	30%	17%	43%
საშუალო	8%	57%	25%	32%	37%	8%	25%	26%	17%	34%
დიდი	2%	61%	18%	23%	27%	11%	23%	25%	16%	25%
ყველა	4%	24%	12%	21%	18%	4%	13%	32%	15%	48%

10%-მდე | 10%-20% | 20%-30% | 30%-40% | 40%-50% | 50%-60% | 60%-დან ზემოთ

როგორ წავიკითხოთ ცხრილი?

ე.წ. „heat map“ გვიჩვენებს, თუ რა ხერხი იქნა გამოყენებული სირთულეების საპასუხოდ სხვადასხვა ზომის კომპანიების მიერ. სვეტის „ყველა“ მაჩვენებელი მიუთითებს ყველა გამოკითხული კომპანიის რა პროცენტულმა წილმა მიიღო კონკრეტული ზომა. მაგალითად, საშუალო ზომის კომპანიების 24%-მა შეამცირა დასაქმებულთა რაოდენობა. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთზე მეტი პასუხი, რის გამოც პროცენტული მაჩვენებლების ჯამი 100%-ს არ უტოლდება.

- აპრილის კვლევის შედეგების მსგავსად, გამოკითხული დიდი ზომის კომპანიების უმეტესობამ გააგრძელა დისტანციურ რეჟიმზე მყოფი თანამშრომლებით ოპერირება. ამასთან, დისტანციურად მუშაობის მაჩვენებელი შემცირებულია ყველა სხვა გამოკითხულ კომპანიას შორის: მიკრო (19%-დან 15%-მდე), მცირე (33%-დან 24%-მდე) საშუალო ზომის (57%-დან 25%-მდე) კომპანიებისთვის. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ დიდი ზომის კომპანიებს გააჩნიათ საქმიანობის ონლაინ რეჟიმში წარმართვის ფინანსური რესურსი.
- წინა კვლევასთან შედარებით, ნაკლებმა რესპონდენტმა შეაჩერა ბიზნეს საქმიანობა (ჯამში 19%). ამჟამად, წარმოების შეზღუდვა ყველაზე ხშირად გამოყენებული (30%) საპასუხო ზომაა ყველა გამოკითხული კომპანიისათვის.
- გამოკითხულთა მეხუთედზე მცირედით მეტი განაგრძობს თანამშრომელთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო დაახლოებით 15%-მა თანამშრომლები უხელფასო შვებულებაში გაუშვა.
- სექტორული თვალსაზრისით, სტუმრების განთავსებისა და კვების მომსახურების ბიზნესის 38%-მა შეწყვიტა საქმიანობა, რასაც მოსდევს მშენებლობა 18%-ით და საბითუმო და საცალო ვაჭრობა 16%-ით.

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები:

- ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სამშენებლო კომპანიების ნაწილი კერძოდან სამთავრობო შეკვეთებზე გადავიდა, რადგან მოთხოვნა კერძო სექტორის მხრიდან შემცირებულია.

რესპონდენტების თითქმის 80%-ს ჰქონდა შეფერხება მიწოდების ჯაჭვში, თუმცა აღნიშნული შეფერხების გამომწვევი მიზეზები განსხვავდებოდა კომპანიებს შორის



შეფერხების სახეები:

ფორმალურია შეფერხება, რომელიც გამოწვეულია შესაბამისი უწყების განკარგულებით. ხოლო არაფორმალურია როდესაც ის გამოწვეულია ყველა სხვა გარეშე ფაქტორით. მაგალითისთვის, ფორმალური შეფერხებაა საზღვრის ჩაკეტვა გადაზიდვებისთვის ან გარკვეული პროდუქციის ექსპორტის აკრძალვა.

- ტრანსპორტირების გაზრდილი ფასი მიწოდების ჯაჭვის მთავარ შეფერხებად გამოკითხულთა თითქმის 80%-მა დაასახელა. დაახლოებით თანაბარი იყო აღნიშნულის ფორმალური და არაფორმალური გამომწვევი მიზეზი.
- რიგით მეორე ყველაზე პრობლემური საკითხი ორ ქვეყანას შორის ტრანსპორტირების შემცირებაა (66%). ყველა იმ კომპანიაში, რომელიც ამ პრობლემის წინაშე დადგა, შემთხვევათა 70% ფორმალურ შეზღუდვებთან იყო დაკავშირებული.
- რესპონდენტთა დაახლოებით 50%-ისთვის მიწოდების შეფერხების კიდევ ერთი მთავარი წყარო კონკრეტული პროდუქციის ტრანსპორტირების აკრძალვასთან და განბაჟების პროცედურებში გართულებულ შემთხვევებთან არის დაკავშირებული.
- კომპანიების მიერ აღნიშნული მიწოდების ჯაჭვში სხვა ტიპის შეფერხებები დაკავშირებულია მომწოდებელ კომპანიებში პერსონალის ნაკლებობასთან, მიწოდების გაზრდილ დროსთან და მომხმარებლების მხრიდან შეკვეთების შემცირებასთან.

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები:

- ჩაღრმავებული ინტერვიუების თანახმად, ნავთობის ფასების საერთო შემცირების მიუხედავად, რესპონდენტებს გაეზარდათ ტრანსპორტირების ხარჯები. მათ ეს ახსნეს სატრანსპორტო გადაზიდვების შემცირებული სიხშირით და შესაბამისად გაზრდილი თვითღირებულებით. დამატებითი შეფერხებები შეიქმნა მძღოლების ტესტირების გამო, რაც ნაწილობრივ გადაწყდა უკონტაქტო მიწოდების პროცედურის დანერგვით.

წინა კვლევასთან შედარებით ნაკლებია კომპანიების რაოდენობა 50%-ის ზემოთ შემოსავლების შემცირებით

სექტემბერი 2020

რა ოდენობით არის თქვენი მაისი-ივლისის თვის შემოსავლი შემცირებული წინა წლის მაისი-ივლისის თვესთან შედარებით?



რამდენი თანამშრომლის შემცირება ან უხელფასო შვებულებაში გაშვება მოგიწიათ COVID-19-ის დაწყებიდან?



აპრილი 2020

რა ოდენობით არის თქვენი მარტი-აპრილის თვის შემოსავლი შემცირებული წინა წლის მარტი-აპრილის თვესთან შედარებით?



რამდენი თანამშრომლის შემცირება ან უხელფასო შვებულებაში გაშვება მოგიწიათ COVID-19-ის დაწყებიდან?



გამოკითხულთა 39%-მა აღნიშნა, რომ გასულ წელთან შედარებით 2020 წლის მაის-ივლისში მათი შემოსავალი 50%-ზე მეტით შემცირდა. წინა კვლევის მაჩვენებელი 61%-ს უტოლდებოდა (2020 წლის მარტი-აპრილი გასულ წელთან შედარებით)

სექტემბერი 2020

რა ოდენობით არის თქვენი მაისი-ივლისის თვის შემოსავლი შემცირებული წინა წლის მაისი-ივლისის თვესთან შედარებით?



აპრილი 2020

რა ოდენობით არის თქვენი მარტი-აპრილის თვის შემოსავლი შემცირებული წინა წლის მარტი-აპრილის თვესთან შედარებით?



- მაის-ივლისში ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორები, რომლებმაც 50%-ზე მეტი შემოსავალი დაკარგეს, არიან სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი (84%), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (59%) და სამშენებლო ბიზნესი (36%).
- საფინანსო და სადაზღვევო და გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორების კომპანიების მხოლოდ 12%-მა აღნიშნა 50%-ზე მეტით შემოსავლების შემცირება, რაც სხვა სექტორებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელია. ხოლო, ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორი შემოსავლების შემცირების ყველაზე დიდ მაჩვენებელს (36%) აფიქსირებს.
- საერთო ჯამში, გამოკითხულთა მხოლოდ 11%-მა არ დააფიქსირა შემოსავლების შემცირება 2020 წლის მაის-ივლისში.
- განსხვავებულია 50%-ზე მეტით შემოსავლების შემცირების მაჩვენებლები კომპანიების ზომების მიხედვით: მიკრო 46%, შემდგომ მცირე (35%), საშუალო (35%), თვითდასაქმებული (31%) და მსხვილი ბიზნესისთვის (28%).
- წინა კვლევასთან შედარებით, უფრო მეტ რესპონდენტს არ შემცირებია შემოსავლი (11%, აპრილის 6%-თან შედარებით). ასევე, ნაკლები იყო კომპანიების რაოდენობა 50%-ის ზემოთ შემოსავლების შემცირებით.

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები:

- ონლაინ გამოკითხვის მსგავსად, ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგებმა აჩვენა, რომ შემოსავლების ვარდნის სიმძიმე განსხვავდება სექტორების მიხედვით. შემოსავლების ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება მოხდა ტურიზმის სექტორთან ასოცირებულ ბიზნესებში, ხოლო ზოგ შემთხვევაში შემოსავლების ზრდა ფიქსირდება სოფლის მეურნეობის და საკვებ პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებულ სექტორებში.

თანამშრომლების რაოდენობის შემცირების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი წარმოების სექტორში ფიქსირდება (79%), რაც აპრილის კვლევასთან შედარებით გაზრდილი მაჩვენებელია (56%)

სექტემბერი 2020

რამდენი თანამშრომლის შემცირება ან უხელფასო შვებულებაში გაშვება მოგიწიათ COVID-19-ის დაწყებიდან?



აპრილი 2020

რამდენი თანამშრომლის შემცირება ან უხელფასო შვებულებაში გაშვება მოგიწიათ COVID-19-ის დაწყებიდან?



- მიმდინარე კვლევის მიხედვით, კომპანიების 56%-ს არ შეუმცირებია თანამშრომლების რაოდენობა პანდემიის დაწყებიდან.
- სასტუმროების და კვების სექტორი იყო ერთადერთი გამოკითხულთაგან, რომელშიც რესპონდენტთა 75%-მა შეამცირა თანამშრომლების რაოდენობა.
- თანამშრომლების 100%-ით შემცირების ყველაზე დიდი ოდენობა დაფიქსირდა სასტუმროებისა და კვების (22%), განათლების (22%) და ტრანსპორტირების და დასაწყობების (20%) სექტორებში.
- არცერთი გამოკითხული საშუალო ზომის კომპანია სასტუმროების და კვების სექტორში არ აფიქსირებს პერსონალის შემცირებას 75%-ზე ზემოთ.
- მიკრო და მცირე ზომის კომპანიების უმრავლესობა, გარდა განათლების და სასტუმროებისა და კვების კომპანიებისა, არ აფიქსირებს პერსონალის შემცირებას ან არ ფლობს ინფორმაციას შემცირების შესახებ.
- წინა კვლევასთან შედარებით, ნაკლები კომპანია აფიქსირებს პერსონალის 100%-იან შემცირებას.

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები:

- ზოგიერთი ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტის თანახმად, შემცირებების უმრავლესობა შეეხო ნახევარ განაკვეთზე ან დროებითი კონტრაქტით აყვანილ თანამშრომლებს. აღნიშნული სავარაუდოდ მიანიშნებდეს იმას, რომ გათავისუფლება უმეტესად ეხება მოქნილი სამუშაო გრაფიკის მქონე თანამშრომლებს.

3

ბიზნესის მოლოდინები

გამოკითხული კომპანიების 56% არ გეგმავს თანამშრომელთა რაოდენობის შემცირებას მომდევნო 3 თვის განმავლობაში

სექტემბერი 2020

პროგნოზირებთ თუ არა შემოსავლის შემცირებას უახლოეს 3 თვეში წინა წლის შესაბამის 3 თვესთან შედარებით?



იმ შემთხვევაში თუ გეგმავთ თანამშრომლების რაოდენობის შემცირებას, საერთო რაოდენობიდან რამდენი თანამშრომლის შემცირება ან უხელფასო შვებულებაში გაშვება მოგიწევთ მომდევნო 3 თვის განმავლობაში?



აპრილი 2020

პროგნოზირებთ თუ არა შემოსავლის შემცირებას უახლოეს 3 თვეში წინა წლის შესაბამის 3 თვესთან შედარებით?



იმ შემთხვევაში თუ გეგმავთ თანამშრომლების რაოდენობის შემცირებას, საერთო რაოდენობიდან რამდენი თანამშრომლის შემცირება ან უხელფასო შვებულებაში გაშვება მოგიწევთ მომდევნო 3 თვის განმავლობაში?



სასტუმრო და საკვები მომსახურების სექტორებში მოქმედი კომპანიების 66% ელოდება შემოსავლის 50%-ზე მეტით შემცირებას უახლოეს 3 თვეში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რაც ნაკლებია აპრილის კვლევის მაჩვენებელზე (71%)

სექტემბერი 2020

პროგნოზირებთ თუ არა შემოსავლის შემცირებას უახლოეს 3 თვეში წინა წლის შესაბამის 3 თვესთან შედარებით?



აპრილი 2020

პროგნოზირებთ თუ არა შემოსავლის შემცირებას უახლოეს 3 თვეში წინა წლის შესაბამის 3 თვესთან შედარებით?



- კვლევაში მონაწილე საწარმოების ერთ მეხუთედზე მეტი მომდევნო 3 თვის განმავლობაში შემოსავლის 50%-ზე მეტით ვარდნას ელოდება, ხოლო კომპანიების 19%-ს უჭირს მოსალოდნელი შემცირების ზუსტი განსაზღვრა.
- შემოსავლების შემცირებასთან დაკავშირებით პროგნოზის გაკეთება ყველაზე მეტად უჭირს გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორის წარმომადგენლებს (41%).
- უახლოეს 3 თვეში კომპანიების მხოლოდ 14% არ პროგნოზირებს შემოსავლის შემცირებას.
- კომპანიები სასტუმროების და კვების მომსახურების (66%) და სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის (35%) სექტორებში პროგნოზირებენ შემოსავლის 50%-ზე მეტით შემცირებას.
- 50%-ზე მეტით ვარდნის მოლოდინი განსხვავებულია კომპანიების ზომების მიხედვით. თვითდასაქმებული კომპანიების 28%, მიკრო კომპანიების 27% და საშუალო ზომის კომპანიების 27%, პროგნოზირებს შემოსავლის 50%-ზე მეტით ვარდნას მომავალი სამი თვის განმავლობაში (წინა წელთან შედარებით). ამის საპირისპიროდ, გამოკითხული მცირე ზომის კომპანიების მხოლოდ 21%-ს და დიდი კომპანიების 22%-ს აქვს შემოსავლების 50%-ზე მეტით ვარდნის მოლოდინი.
- აპრილის კვლევის დროს, უფრო მეტი გამოკითხული კომპანია ელოდა მომავალი სამი თვის განმავლობაში 50%-ზე მეტ ვარდნას შემოსავლებში.

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები:

- ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს, დიდი ზომის კომპანიებმა აღნიშნეს, რომ კრიზისის გაგრძელებას ერთ წელზე მეტ ხანს ვარაუდობენ. თავდაპირველი ვარაუდი 3 თვეს შეადგენდა.

განათლების სექტორში მოქმედი კომპანიების 80%-ზე მეტი მომდევნო 3 თვის განმავლობაში არ გეგმავს თანამშრომლების რაოდენობის შემცირებას ან მათ უხელფასო შვებულებაში გაშვებას, აპრილის კვლევის 31%-თან შედარებით

სექტემბერი 2020

იმ შემთხვევაში თუ გეგმავთ თანამშრომლების რაოდენობის შემცირებას, საერთო რაოდენობიდან რამდენი თანამშრომლის შემცირება ან უხელფასო შვებულებაში გაშვება მოგიწევთ მომდევნო 3 თვის განმავლობაში?



აპრილი 2020

იმ შემთხვევაში თუ გეგმავთ თანამშრომლების რაოდენობის შემცირებას, საერთო რაოდენობიდან რამდენი თანამშრომლის შემცირება ან უხელფასო შვებულებაში გაშვება მოგიწევთ მომდევნო 3 თვის განმავლობაში?



- წინა კვლევასთან შედარებით, სექტემბრის კვლევის რესპონდენტები უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. მათგან დიდი უმრავლესობა ან არ გეგმავს თანამშრომლების შემცირებას, ან გეგმავს დასაქმებულების 25%-ზე ნაკლებით შემცირებას.
- გამოკითხულთა დაახლოებით 6% თანამშრომლების 100%-ის გათავისუფლებას გეგმავს. ყველაზე უარყოფითი შედეგი სასტუმროების და კვების მომსახურების სექტორში დაფიქსირდა, რომლის 20% პროგნოზირებს დასაქმებულების 100%-ით შემცირებას.
- კომპანიის ზომის მიხედვით რესპოდენტთა პასუხების შედეგად, თვითდასაქმებულთა 16%, მიკრო ზომის 9%, მცირე ზომის 1% და საშუალო ზომის კომპანიების 3% გეგმავს შეამციროს პერსონალის 100% მომდევნო სამი თვის განმავლობაში. გამოკითხული დიდი ზომის კომპანიები არ პროგნოზირებენ მათი თანამშრომლების სრულ შემცირებას.

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები:

- გამოკითხული დიდი ზომის კომპანიების უმეტესობა მიუთითებს, რომ მათ მნიშვნელოვანი ინვესტიცია აქვთ განხორციელებული საკუთარ თანამშრომლებში. ამრიგად, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება ერთ-ერთი ყველაზე ბოლო ზომაა, რომლის გამოყენებაც მათ შეიძლება განიხილონ პანდემიის შედეგების დასაძლევად.

4

ბიზნესის გამოწვევები დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებით და მთავრობის მიერ გამოცხადებული ინიციატივები

კარანტინის პერიოდში გამოკითხული კომპანიების 63%-მა შეაჩერა საქმიანობა, ხოლო მათგან 75%-მა განაახლა საქმიანობა შეზღუდვების მოხსნის შემდგომ

იყო თუ არა თქვენი ბიზნესი დახურული კარანტინის დროს?



განაახლეთ თუ არა საქმიანობა კარანტინის დასრულების შემდეგ?



რა მთავარი სირთულე გაფერხებთ საქმიანობის განახლებისგან?



რა ოდენობის თანხა დახარჯეთ მთავრობის მიერ მოთხოვნილი ეპიდ მოთხვონების დასაკმაყოფილებლად? (ლარი)



- კარანტინის შემდეგ, კომპანიების 25%-მა ვერ განაახლა საქმიანობა. მათგან 51%-მა დახურული საზღვრები საქმიანობის განახლების ძირითად შემაფერხებელ მიზეზად დაასახელა. ეს პრობლემა ყველაზე მნიშვნელოვანი სირთულეა არა მხოლოდ ტურიზმთან დაკავშირებული, არამედ თითქმის ყველა სხვა სექტორისთვისაც.
- შემდეგი ორი მნიშვნელოვანი შეფერხება ეხებოდა მოთხოვნის შემცირებას (20%) და რეგულაციებს (10%).
- საქმიანობის განახლების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი თვითდასაქმებულ სუბიექტებს შორის ფიქსირდება. მათგან მხოლოდ 57%-მა მოახერხა საქმიანობის გაგრძელება დროებითი შეჩერების შემდეგ. ამ კომპანიების 61% ოპერირების განახლების შეფერხების მთავარ მიზეზად დახურულ საზღვრებს ასახელებს.
- უმეტესად დიდი ზომის კომპანიებმა აირიდეს დახურვა კარანტინის განმავლობაში - მხოლოდ 24%-მა შეაჩერა ოპერირება. შეჩერებული დიდი ზომის კომპანიების დაახლოებით 90%-მა მოახერხა საქმიანობის განახლება.
- COVID-19-თან დაკავშირებული უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 22%-მა დახარჯა 5000 ლარზე მეტი. ხოლო დანარჩენი კომპანიების ხარჯი 0-5000 ლარამდეა.

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები:

- ჩაღრმავებული ინტერვიუებისას რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ პირადი კონტაქტების გამოყენება მოუწიათ საოპერაციო საქმიანობის განახლებისთვის ნებართვის მისაღებად, აგრეთვე ტრანსპორტირების ნებართვის მოპოვების პროცესის დასაჩქარებლად.

აპრილის კვლევის 15%-თან შედარებით, მიმდინარე კვლევისას კომპანიების 33% ლიკვიდობის შენარჩუნებას მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში პროგნოზირებს

სექტემბერი 2020

რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას გააგრძელოს ოპერირება და გადაიხადოს ყველა ვალდებულება, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების გარეშე?



აპრილი 2020

რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას გააგრძელოს ოპერირება და გადაიხადოს ყველა ვალდებულება, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების გარეშე?



- გამოკითხულთა 10%-ზე ნაკლები მიიჩნევს, რომ მათი ბიზნესი უკვე დადგა ლიკვიდობის გამოწვევების წინაშე. ასეთი კომპანიების უმეტესობა თვითდასაქმებული სუბიექტებია.
- პასუხები მნიშვნელოვნად განსხვავდება კომპანიების ზომების მიხედვით. მცირე (62%), საშუალო (61%) და დიდი (77%) ზომის კომპანიების ორ მესამედზე მეტის მოლოდინია ფინანსური ლიკვიდობის სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში შენარჩუნება.
- ლიკვიდობის მოლოდინები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა კვლევის მონაცემებისგან, სადაც გამოკითხულთა მეოთხედზე მეტს უკვე შეექმნა ლიკვიდობის გამოწვევები კვლევის პერიოდში.
- კომპანიების უმეტესობა, რომლებსაც უკვე აქვთ ლიკვიდობის პრობლემები, სასტუმროების და კვების (18%), სხვა მომსახურებების (12%) და საბითუმო და საცალო ვაჭრობის (6%) სექტორებში ოპერირებენ.
- პანდემიის დროს ყველაზე მდგრადი სექტორები, რომლებსაც შეუძლიათ განაგრძონ საქმიანობა დასაქმების შემცირების გარეშე და შეინარჩუნონ ლიკვიდობა სამი თვის შემდეგაც, არიან მშენებლობის (53%) და საცალო და საბითუმო ვაჭრობის (55%) სექტორები.
- აპრილის კვლევასთან შედარებით, ნაკლებ კომპანიას უკვე დაუდგა ლიკვიდობის პრობლემა და მეტ კომპანიას შეუძლია ლიკვიდობის შენარჩუნება მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში.

კომპანიების მხოლოდ 16%-მა მიმართა საგადასახადო ორგანოს ვალდებულებების გადავადების მოთხოვნით, რომელთა 44% დაკმაყოფილებულია

მიმართეთ თუ არა საგადასახადო ორგანოს თქვენი საგადასახადო ვალდებულების გადავადების მიზნით?



მიმართეთ თუ არა საგადასახადო ორგანოს თქვენი საგადასახადო ვალდებულების გადავადების მიზნით?



- საშუალო ზომის კომპანიები ყველაზე ხშირად მიმართავენ საგადასახადო ორგანოს ვალდებულების გადავადების მიზნით. საშუალო ზომის კომპანიების 28%-მა მიმართა საგადასახადო ორგანოს ვალდებულებების გადავადების მიზნით. მათგან სრულად დაკმაყოფილდა მოთხოვნების შემდეგი რაოდენობა: დიდი - 21%, მცირე - 20%, თვითდასაქმებული - 15% და მიკრო ზომის კომპანიების - 11%.
- ყველაზე მაღალი უარის მაჩვენებელი (42%) თვითდასაქმებულ კომპანიებში ფიქსირდება, ამავდროულად მიკრო ბიზნესების 89%-მა შეძლო გადასახადების ნაწილობრივი ან სრული გადავადება.
- დიდი ზომის კომპანიების მხოლოდ 21%-მა მიმართა საგადასახადო ორგანოს ვალდებულებების გადავადების მიზნით. კომპანიების თანაბარმა რაოდენობამ სრულად, ნაწილობრივ ან საერთოდ ვერ შეძლო გადასახადების გადავადება.
- სექტორულ ჭრილში, რესპონდენტებს უძრავი ქონების სექტორში საგადასახადო ორგანოსგან ვალდებულებების გადავადების ყველაზე დიდი (47%) მაჩვენებელი აქვთ.

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები:

- გამოკითხულმა ყველა დიდი ზომის კომპანიამ მიმართა საგადასახადო ორგანოს საგადასახადო ვალდებულებების გადავადების მიზნით და მიიღო სრული ან ნაწილობრივი გადავადება.
- საგადასახადო ორგანოებთან დაკავშირებული ერთ-ერთი საკითხი, რომელიც გამოიკვეთა ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს, ეხებოდა პანდემიის დროს მარაგების ჩამოწერას.

გამოკითხული კომპანიებიდან 44%-მა ისარგებლა ხელფასის სუბსიდირებით და ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების ინიციატივით

რა სარგებელი მიიღეთ მთავრობის მიერ გამოცხადებული იმ ინიციატივიდან, რომელიც მიესადაგება თქვენს საქმიანობას?



მთავრობის მიერ ბოლო დროს გამოცხადებული რომელი ინიციატივა მიესადაგება თქვენს საჭიროებებს? (ყველა სექტორი)



- კომპანიებისთვის მთავრობის მიერ გამოცხადებული ინიციატივების ძირითადი დადებითი შედეგი დაკავშირებული იყო ბიზნეს საქმიანობის გაგრძელებასთან (40%), ხოლო კომპანიების 38%-მა ის გამოიყენა თანამშრომლების შესანარჩუნებლად.
- გამოკითხული რესპონდენტებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული ინიციატივა დაკავშირებულია თანამშრომლების ხელფასებისა და ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის სუბსიდირებასთან.
- სასტუმროებისა და კვების მომსახურების სექტორში გამოკითხულ კომპანიებში აღნიშნულია, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებული ინიციატივა ქონების და საშემოსავლო გადასახადის გადავადებაა.
- სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის სექტორის რესპონდენტთა 47%-მა უკვე გამოიყენა, ან აპირებს გამოიყენოს მთავრობის ინიციატივა, რომელიც უკავშირდება დამატებით გრანტებს და აგროკრედიტს ერთწლიანი კულტურების დაფინანსებისთვის, სამელიორაციო აქტივობების ხარდაჭერასა და მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებისთვის დიზელის ფასის სუბსიდირებას.
- სამშენებლო სექტორის კომპანიების დაახლოებით 13%-მა უკვე ისარგებლა იმ ინიციატივებით, რომელიც მიმართულია სექტორის მხარდასაჭერად, ხოლო გამოკითხულთა 45% გეგმავს მსგავსი ინიციატივების მომავალში გამოყენებას.

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები:

- ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა აღნიშნეს ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ინიციატივის გაგრძელების მნიშვნელობა. კომპანიებმა აღნიშნეს, რომ თანამშრომლების შენარჩუნება არ უნდა დაისაჯოს მთავრობის მხრიდან, შენარჩუნებული პერსონალის საშემოსავლო გადასახადის დაკისრების ვალდებულების ფორმით.

მთავრობის მიერ ბოლო დროს გამოცხადებული რომელი ინიციატივა მიესადაგება თქვენს საჭიროებებს? (სასტუმროები)



მთავრობის მიერ ბოლო დროს გამოცხადებული რომელი ინიციატივა მიესადაგება თქვენს საჭიროებებს? (სოფლის მეურნეობა)



მთავრობის მიერ ბოლო დროს გამოცხადებული რომელი ინიციატივა მიესადაგება თქვენს საჭიროებებს? (მშენებლობა)



დამატებითი დაფინანსების საჭიროების მქონე გამოკითხული კომპანიების 24%-მა უკვე მიმართეს ფინანსურ ინსტიტუტს. აღნიშნული მაჩვენებელი აპრილში 15%-ს შეადგენდა

სექტემბერი 2020

COVID-19-ის მიზეზით გამოწვეული შეფერხებების გამო დასჭირდება თუ არა თქვენს ბიზნესს დამატებითი ფინანსური სახსრები?



მიმართეთ თუ არა ფინანსურ ინსტიტუტს 2020 წლის COVID-19-ის დაწყებიდან დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვის მიზნით?



აპრილი 2020

COVID-19-ის მიზეზით გამოწვეული შეფერხებების გამო დასჭირდება თუ არა თქვენს ბიზნესს დამატებითი ფინანსური სახსრები?



მიმართეთ თუ არა ფინანსურ ინსტიტუტს 2020 წლის COVID-19-ის დაწყებიდან დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვის მიზნით?



- იმ კომპანიების სტატისტიკა, რომლებიც ფინანსურ ინსტიტუტებს მიმართავენ, განსხვავდება კომპანიის ზომის მიხედვით. მიკრო ბიზნესების 63%-ზე ნაკლებს ჯერ არ მიუმართავთ ფინანსური ინსტიტუტებისთვის. განსხვავებული ვითარებაა დიდი და საშუალო ზომის კომპანიებში, სადაც 50%-ზე ნაკლებს ჯერ არ მიუმართავს ფინანსური ინსტიტუტებისთვის.
- დამატებითი დაფინანსების მოთხოვნაზე უარის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საშუალო (14%), მიკრო (12%) და მცირე ზომის კომპანიებს (11%) აქვთ, რაც წინა კვლევის მონაცემების მსგავსია.
- დამატებითი დაფინანსების მოპოვების წარმატების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საშუალო და დიდი ზომის კომპანიების თანაბარ რაოდენობას (22%) აქვს. ასევე, გადაწყვეტილებას ელოდება საშუალო 9% და დიდი ზომის კომპანიების 7%. წინა კვლევისგან განსხვავებით, უფრო საშუალო ზომის კომპანიებმა მიიღეს დაფინანსება.
- წინა კვლევასთან შედარებით, თვალსაჩინო განსხვავებაა დიდი ზომის კომპანიებს შორის. კომპანიების პროცენტული წილი, რომლებსაც დაფინანსება არ სჭირდებათ, 37%-დან 22%-მდე შემცირდა. ამავდროულად, კომპანიების რაოდენობა, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიუმართავთ დამატებითი დაფინანსებისთვის, 30%-დან 48%-მდე გაიზარდა.

გამოკითხული კომპანიების 22%-მა მიმართა ფინანსურ ინსტიტუტს სესხის რესტრუქტურიზაციის მიზნით, რომელთა 70%-ზე მეტმა მოახერხა ვალდებულების გადავადება

მიმართეთ თუ არა ფინანსურ ინსტიტუტს COVID-19-ის დაწყებიდან სესხის რესტრუქტურიზაციის მიზნით?



დაგიმტკიცათ თუ არა ფინანსურმა ინსტიტუტმა რესტრუქტურიზაცია?



- არსებული სესხების დამატებითი დაფინანსებისა და რესტრუქტურიზაციის შედარებისას, ოდნავ ნაკლები რაოდენობის კომპანიები მიმართავენ ფინანსურ ინსტიტუტებს სესხების რესტრუქტურიზაციის მიზნით (22%), ვიდრე ახალი დაფინანსების მოსაზიდად (24%).
- ყველაზე მეტი კომპანია, რომელმაც ფინანსურ ინსტიტუტებს სესხის რესტრუქტურიზაციის მიზნით მიმართა, იყო საშუალო ზომის კომპანია (31%). მას მოსდევს დიდი (30%), მცირე (24%), მიკრო (20%) და ბოლოს თვითდასაქმებული (13%) ბიზნესები.
- კომპანიებისთვის სესხების რესტრუქტურიზაცია მოითხოვდა ბანკსა და კომპანიას შორის შეთანხმებას, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში ეს ავტომატურად ხდებოდა. იმ შემთხვევაში, თუ თვითდასაქმებულ სუბიექტებს სესხები რეგისტრირებული ჰქონდათ როგორც ფიზიკურ პირებს, ისინი დამატებით არ მოითხოვდნენ რესტრუქტურიზაციას.
- კომპანიების დიდ უმრავლესობას (73%) ფინანსურმა ინსტიტუტებმა დაუმტკიცა სესხის რესტრუქტურიზაცია.
- საშუალო ზომის კომპანიებს ყველაზე ძალიან გაუჭირდათ არსებული სესხების რესტრუქტურიზაციაზე თანხმობის მიღება (მხოლოდ 35%), ხოლო დამტკიცებების უმეტესობა დიდი ზომის კომპანიებზე მოდის (88%).

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები:

- ჩაღრმავებული ინტერვიუების ყველა რესპონდენტმა შეძლო დაფინანსების მოპოვება ან ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული ვალდებულებების გადავადება. თუმცა, მათ აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა დასჭირდათ ამ პროცესში. კონკრეტულად, იგულისხმება ბანკების დარწმუნება იმაში, რომ მიმდინარე შემთხვევა განეხილათ როგორც გამონაკლისი და გრძელვადიანი პროგნოზების გაკეთების სირთულეში.

PwC გუნდი

ანგარიშის ავტორები

აგნეშკა გაჟევსკა
პარტნიორი, PwC ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ლიდერი
საჯარო სექტორი და ინფრასტრუქტურა
E: agnieszka.gajewska@pwc.com

თამთა შერმადინი
დირექტორი, PwC ევრაზია
საჯარო სექტორი და ინფრასტრუქტურა
E: tamta.shermadini@pwc.com

ნინო ჩოლოყაშვილი
უფროსი მენეჯერი, PwC საქართველო
საჯარო სექტორი და ინფრასტრუქტურა
E: nino.cholokashvili@pwc.com



ზურაბ ედიშერაშვილი
მონაცემთა ანალიტიკოსი, PwC საქართველო
საჯარო სექტორი და ინფრასტრუქტურა
E: zurab.edisherashvili@pwc.com

ექსპერტები

დიონისი სმოლენი
დირექტორი, PwC პოლონეთი
E: dionizy.smolen@pwc.com

პაველ ოლესზუკი
მენეჯერი, PwC პოლონეთი
E: pawel.oleszczuk@pwc.com

არსენ გოგატაძე
კონსულტანტი, PwC საქართველო
საჯარო სექტორი და ინფრასტრუქტურა
E: arsen.gogatadze@pwc.com

ძვირფასო ბატონო/ქალბატონო

საქართველოში საინვესტიციო საბჭოს სამდივნოს მხარდაჭერა - COVID-19-ის ბიზნესის კვლევა

წინამდებარე პრეზენტაცია მომზადებულია მხოლოდ EBRD-სა და საინვესტიციო საბჭოსთვის და მხოლოდ იმ მიზნებითა და პირობებით, რომლებიც შეთანხმებულია EBRD-თან დადებულ ჩვენს შეთანხმებაში (#C45399/13795/93498), რომელიც თარიღდება 2020 წლის 2 სექტემბრით.

ჩვენი ანგარიში შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მოპოვებულია ანგარიშში უფრო დეტალურად აღწერილი სხვადასხვა წყაროდან. PwC-ს არ გადაუმოწმებია ამ წყაროების სანდოობა ან მოცემული ინფორმაციის სისწორე. შესაბამისად, PwC არ იძლევა ანგარიშის სიზუსტესა და სისრულეზე რაიმე სახის რწმუნებას ან გარანტიას (იქნება ეს გამოხატული თუ ნაგულისხმევი) რომელიმე პირისთვის (გარდა EBRD-ისთან გაფორმებული შეთანხმების პირობების თანახმად).

გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც აღწერილია შეთანხმებაში ან ჩვენს მიერ არის შეთანხმებული წერილობითი ფორმით, ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი (მათ შორის დაუდევრობაზე) ნებისმიერი სხვა მხარის წინაშე ან რაიმე სხვა მიზნით წინამდებარე ანგარიშის გამოყენებასთან დაკავშირებით და ის არ შეიძლება მიეწოდოს სხვას.

თუ ამ ანგარიშთან დაკავშირებით გექნებათ რაიმე სახის კითხვა, გთხოვთ დაუკავშირდეთ ნინო ჩოლოყაშვილს შემდეგ ნომერზე: +995599 933311 ან ელ. ფოსტაზე: nino.cholokashvili@pwc.com.

ლაშა ჯანელიძე

© 2020 შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო. ყველა უფლება დაცულია.

"PwC" ნიშნავს შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს როგორც წევრ ფირმას, და ზოგ შემთხვევაში PwC-ის ქსელს, რომელშიც შემავალი თითოეული ფირმა არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure

PwC– ში ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ საზოგადოების ნდობა და გადავწყვიტოთ მნიშვნელოვანი პრობლემები. PwC არის ფირმების ქსელი 157 ქვეყანაში, რომელშიც 276 000-ზე მეტი ადამიანი მუშაობს, რომლებიც მზად არიან უზრუნველყონ ხარისხი აუდიტორულ, საკონსულტაციო და საგადასახადო მომსახურებებში. შეიტყვეთ მეტი და გვითხარით, რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი, ეწვიეთ ჩვენს ვებ – გვერდს www.pwc.com/ge